ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 44 (6538) 29 ოქტომბერი ხუთშაბათი 1992 წელი

## ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

წინასწარი მონაცემებით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე 32 პარტიამ და ოთხმა ბლოკმა მიიღო შემდეგი რაოდენობის მანდატები:

დემოკრატიული პარტია—10 მანდატი,
„ქარტია-91"—9,
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია—13,
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი—7,
საქართველოს მთიელთა კავშირი—1,
საარჩევნო ბლოკი „ერთობა"—14,
მამულის აღორძინების საზოგადოება—1,
ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია—2,
საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი—4,
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება—7,
საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი—2,
საარჩევნო ბლოკი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა პოლიტიკური კავშირი"—1,
საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი—2,
საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია—1,
საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია—4,
საქართველოს რადიკალურ-მონარქისტული კავშირი—1,
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია—4,
საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი—1,
სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი—2,
საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია—1,
საარჩევნო ბლოკი „მშვიდობა"—29,
სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება—5,
საარჩევნო ბლოკი—„11 ოქტომბერი"—18,
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია—2,
საქართველოს მწვანეთა პარტია—11.

## ცაგერის რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს

მადლობას მოგახსენებთ პირადად თქვენ, რაიონის მთელს ხელმძღვანელობას, საარჩევნო კომისიის წევრებს 11 ოქტომბრის არჩევნების მაღალ დონეზე ორგანიზებისა და ჩატარებისათვის. გთხოვთ, გადასცეთ ჩემი ულრმესი მადლობა რაიონის მოსახლეობას, რომელმაც დიდი პატრიოტული აქტიურობა გამოიჩინა.

11 ოქტომბერს მე უცხე ვუწოდე იმედის დღე. ამ დღეს დაუკავშირდა თითოეული ჩვენთაგანის იმედი, რომ თავს დავაღწევთ ქაოსს, ბოროტმოქმედთა თარეშს, დუხჭირ ცხოვრებას; რომ შევძლებთ დავიცვათ საქართველოს დამოუკიდებლობა და ერთიანობა. დარწმუნებული ვარ, რომ ახდება ჩვენი იმედი,—აღორძინდება, გამთლიანდება, გაძლიერდება ჩვენი სამშობლო.

ულრმეს მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც მხარი დაუჭირა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ჩემს არჩევას. მაღალფარდოვნებად ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ თანამემამულეთა ნდობა არის ყველაზე დიდი ჯილდო და ყველაზე დიდი სახარული ჩემს ცხოვრებაში.

ჩვენ დღეს ერთსულოვანნი, ერთიანნი ვართ და ჩვენ უსათუოდ გავიმარჯვებთ.

ღრმა პატივისცემით ედუარდ შევარდნაძე.

## საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანება

1992 წლის 20 ოქტომბერი № 291 ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ახალწვეულთა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 3 ივლისის „1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის შესახებ" დადგენილების საფუძველზე წვევამდელთა საშემოდგომო გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვბრძანებ:

1. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების გამგეობებმა და სამხედრო განყოფილებებმა 1992 წლის ოქტომბერ-დეკემბერში განახორციელონ წვევამდელთა გაწვევა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

2. გაწვეული იქნან საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად 18-დან 25 წლამდე მოქალაქენი, რომლებსაც არა აქვთ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების უფლება.

აღნიშნული კატეგორიის წვევამდელები დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდნენ ქალაქებისა და რაიონების სამხედრო განყოფილებებში.

3. შეიარაღებული ძალების სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების მეთაურებმა, აგრეთვე შესაბამისმა სამმართველოებმა მოამზადონ სამხედრო ნაწილები და სასწავლო ცენტრები წვევამდელთა მისაღებად და მათთან საბრძოლო მომზადების ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

4. წვევამდელთა მომზადებისა და გაწვევისათვის რაიონებისა და ქალაქების სამხედრო განყოფილებებმა იხელმძღვანელონ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით და ადგილობრივი სამხედრო ორგანოების სამმართველოს ბრძანებით „წვევამდელთა გაწვევის შესახებ".

5. წვევამდელთა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისათვის ადგილობრივმა გამგეობებმა და სამხედრო განყოფილებების უფროსებმა იმოქმედონ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის „საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა" კოდექსის საფუძველზე.

6. ბრძანება გაეცნოს შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის—პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე—თავდაცვის მინისტრი

თ. კიტოვანი.

## რაიონულ საკრებულოში

დღეს საქართველოში ომია, სამამულო ომი. აფხაზმა სეპარატისტებმა, მთიელთა კონფედერატებმა რუსეთის რეაქციული ძალების დახმარებით ორად გახლიჩეს აფხაზეთი.

საქართველოში შეიქმნა ურთულესი მდგომარეობა, საფრთხე შეექმნა ქვეყნის ტერიტორიულ და სახელმწიფოებრივ მთლიანობას.

აფხაზეთში გაჩაღებულმა ომმა მოიტანა სისხლი და ცხედრები, ათეულ ათასობით ლტოლვილი, რომლებიც გაბნეული არიან საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მათ შორის გამონაკლისი არც ლეჩხუმია, რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ წინა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებებით 50—იანი წლებიდან დაწყებული ლეჩხუმიდან ასეულობით ოჯახი გადასახლდა საცხოვრებლად აფხაზეთში გაგრის, სოხუმის, ოჩამჩირის რაიონებში და დღეს გაჭირვების ჟამს მათმა ნაწილმა ლეჩხუმში ნათესავ-ნოკეთეებს შეაფარა თავი. არაოფიციალური მონაცემებით დღეისათვის რაიონში 2500-მდეა მათი რიცხვი.

მთელს საქართველოში და მათ შორის ჩვენს რაიონშიც შეფერხებებია მოსახლეობის პურით და სხვა პროდუქტებით მომარაგების საქმეში. ამას დაემატა აფხაზეთის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულთა კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სხვა სოციალური საკითხების მოგვარება. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა 23 ოქტომბერს რაიონულ საკრებულოში გამართული ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების თათბირი.

თათბირზე აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე ინფორმაცია გააკეთა რაიონის გამგებელმა ა. პირველმა.

რაიონული საკრებულოს განყოფილების გამგემ ბ. ბრეგვაძემ ილაპარაკა აფხაზეთიდან ლტოლვილებისადმი დახმარების საკითხებზე. მან სთხოვა წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს თავიანთ შრომით კოლექტივებში მუშაობით ყველა მუშაკმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ კეთილშობილურ საქმეში. პირველ რიგში საჭიროა დაზუსტდეს ლტოლვილთა სიები, შეგროვდეს ლტოლვილთათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტები (ლობიო, სიმინდის ფქვილი, ხილი და სხვა), ტანსაცმელი.

შემნახველ ბანკში ლტოლვილთა დასახმარებლად გახსნილია ანგარიში, სადაც როგორც წარმოება-დაწესებულებებს, ისე ცალკეულ მოქალაქეებს შეუძლიათ ჩარიცხონ თანხები. ასევე საჭიროა აქტიური მონაწილეობა მივიღოთ აფხაზეთში მეომარი ჯარისკაცებისათვის არამალფუჭადი პროდუქტებისა და თბილი ტანსაცმლის შეგროვებაში. თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დონორთა რიგების ზრდას, რათა აფხაზეთში დაჭრილ მეომართა დასახმარებლად გაღებულ იქნას სისხლი.

## კრიმინალური ქრონიკა

1992 წლის 15 ოქტომბერს, ღამით, გაქურდეს სოფელ ლაილაშში მცხოვრები გურგენ ალფეზის ძე ნემსწვერიძის საცხოვრებელი სახლი. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დაკავებული არიან: ელგუჯა სამსონის ძე ჩაჩხიანი (მცხოვრები წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთში) და კობა ჯოტოს ძე ხეცურიანი (მცხოვრები სოფელ ლაილაშში), რომელთაგანაც ამოღებულ იქნა ნაქურდალი ნივთები.

1992 წლის 19 ოქტომბერს გატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს მკვლელი, ძებნილი, სოფელ ისუნდერში მცხოვრები აკაკი გერასიმეს ძე კუხალაშვილი.

1992 წლის 21 ოქტომბერს რაისაავადმყოფოში მოიყვანეს ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი, სოფელ ლუხვანოში მცხოვრები მევლუდ ვახტანგის ძე კოპალიანი. საქმის მოკვლევას აწარმოებს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება.

შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლტოლვილნი სამშობლოდან

# ჩვენი საერთო ტკივილი

პარასკევს, 23 ოქტომბერს, რაიონის სასამართლოს შენობასთან დაახლოებით ორის ნახევარზე, არცთუ ცოტა ხალხმა მოიყარა თავი.

ლტოლვილებმა—როგორ არ მინდა მათ ეს სახელი ვუწოდო.

ორ საათზე რაიონის მოსამართლის ლეილა გურგუჩიანის ინიციატივით მათთან შეხვედრაა დაგეგმილი. ამ უტრანსპორტობის დროს ცხინვალიდან, ახალგორიდან, ლაჯანურიდანაც კი მოვიდა ხალხი, აღარაფერს ვამბობ უფრო ახლო სოფლებზე. რამ მოიყვანა ისინი ასე შორიდან? დახმარების, ხელის გაწოდების, საარსებო მინიმუმის მიღების სურვილმა. დარჩნენ უფულოდ, უტანსაცმლოდ, უსახლკაროდ და ახლა მოვიდნენ თუნდაც იმ მცირედი დახმარების მისაღებად, რაც ჩვენს ღარიბ რაიონს შეუძლია გაიღოს მათთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტკბილი სიტყვის, მოფერების სურვილმა მოიყვანა ისინი და არა „კარაქიანი პურის" პრეტენზიამ. შეხვედრის დაწყებამდე საუბრობენ მშობლიური ადგილების დასაცავად დარჩენილ ოჯახის წევრებზე, თავიანთ დღევანდელ სავალალო მდგომარეობაზე... შაქარზე და პურზე, ეს უკანასკნელი კი ორი დღის მანძილზე არც რაიონის მცხოვრებს ჰქონდათ, დღეს ეს, რა თქმა უნდა, არავის გაუკვირდება, მადლობა ღმერთს უარესი არ გვჭირს. ახლა ლტოლვილები სამშვიდობოს არიან, თუ მშვიდათ ყოფნა ჰქვია მათ ყოფას. მათი ტკივილი და დარდი ჩვენსაზე დიდია: რა ეშველება მოკლულს, დაუმარხავს, დამწვარ-დაბუგულს, წართმეულს, გავერანებულ-განადგურებულს, დაგზარულ გულს და მოუშუშებელ ტკივილს.

* * *

სასამართლო დარბაზში ხალხმრავლობაა, ქალების და ბავშვების ტევა არაა. რაიონის მოსამართლემ ლეილა გურგუჩიანმა გახსნა შეხვედრა ლტოლვილებთან. რაიონის დღევანდელ მდგომარეობაზე ესაუბრა მათ რაიონის გამგებელი აკაკი პირველი. მან თქვა, რომ რაიონი მოუმზადებელი შეხვდა ხალხის მოზღვავებული მასის ჩამოსვლას, არა და უმეტესობა აქედან იღებს ფესვებს და გაჭირვების ჟამს მშობლიურ კუთხეს მოაკითხეს. დაპირდა, რომ ყველაფერი უპირველეს ყოვლისა განაწილებული იქნება მათთვის, დაწყებული პურიდან.

ლტოლვილთა დახმარების შტაბის მუშაობაზე ლტოლვილებს ესაუბრა შტაბის ხელმძღვანელი გულვერ ბრეგვაძე. მან თქვა, რომ დახმარებას ჯერჯერობით მატერიალური სახე ექნება და დაპირდა მათ რაც კი შემოვა, განაწილებული იქნება ყველა მათგანისათვის. აუხსნა ლტოლვილებს, რომ დაუბრკოლებლად შეუძლიათ ბავშვების მიყვანა საბავშვო ბაღებში თუ სკოლებში, რომ ბავშვები არ ჩამორჩნენ სასწავლო რიტმს, სკოლა მაქსიმალურად ეცდება სახელმძღვანელოებით სარგებლობის საშუალება მისცეს ბავშვებს—ისინი არ უნდა მოცდნენ სწავლას. ხოლო რაც შეეხება პირადობის დამადასტურებელ დროებით პასპორტებს, იმათზე, ვინც დაბადებულია ცაგერის რაიონში და შეძლებისდაგვარად არაადგილობრივზეც გასცემს მმართველობის ბიურო და მილიციის რაიგანყოფილება, როგორც შეკრებაზე თქვეს. მმართველობის განყოფილების გამგემ ვენერა დაშნიანმა და მილიციის რაიგანყოფილების მუშაკმა კარლო გვიშიანმა.

* * *

ისუნდრელი ლია ჩიქოვანი ცრემლებს ძლივს იკავებს, ოცდაორი ადამიანი ჰყავს სტუმრად, აქედან ხუთი პატარა ბავშვია, ზოგ მათგანს (ათთერთმეტი წლის გოგო-ბიჭებს), რომელთა სახლ-კარი დამწვარ-დაბუგულია, ჩასაცმელიც კი არ დარჩენია, იქნებ ვინმეს გაქვთ მათი სარგო ნახმარი ტანსაცმელი მაინც, რომ დაგვეხმაროთო, ამბობს. სამეგრელოზე გვიშორხო, ორი თვე შვიდი ადამიანი მყავდა სტუმრად, ახლა, ორი კვირაა თექვსმეტი დაემატა კიდევ, რა მატერიალური შესაძლებლობებიც არ უნდა იყოს, ოცდაორი კაცის შენახვა ძალზე ძნელია. ლიანა ჩიქოვანი დახმარებას ითხოვს, იქნებ ბავშვებისათვის პური, შაქარი და ბურღულეული მაინც გამოიძებნოს, ამდენი ადამიანის მასპინძელ ოჯახს, ელემენტარული დახმარება მაინც უნდა.

უკვე ორი თვეა ჩვიდმეტი ლტოლვილია ბარდნალელი დალი კოპალიანის ოჯახში. შეხვედრაზე იგი ოთხი პატარა ობოლი ბავშვით მოვიდა. კი მრცხვენია გამხელა, მაგრამ ამალამ რომ ბავშვებს პური ვაჭამო, გრამიც არა მაქვს, სესხებითაც არავინ მასესხა, ყველას ეშინია, ხვალ თვითონ რომ აღმოჩნდეს ჩემს მდგომარეობაში. ბარდნალიდან ფეხით მოვდიოდი ოთხი ბავშვით, ავტობუსს მძღოლს როგორ ვეხვეწეთ, არ გაგვიჩერა, ესაა ადამიანობა, ქართველობა?

* * *

...მართლაც როგორ გადავგვარებულვართ ზოგნი, როგორ დაგვიკარგავს სიხარბისაგან ადამიანის სახე. „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო", მხოლოდ ქართველებს შეგვეძლო გვეთქვა, ახლა? ქვაზე დადებული სიკეთის ნერგის ხარებაც მხოლოდ ჩვენ გვჯეროდა. ქართველობას, ახლა? რამ შეგვიცვალა ბუნება და ბუნება, იქნებ გაუკუღმართებულ ეკონომიკური სიდუხჭირეა ყველაზე მეტად ამის მიზეზი... ხალხო, ახლა უფრო უნდა შევიყვაროთ და შევიბრალოთ ერთმანეთი.

23 ოქტომბრის შეხვედრის შემდეგ პატარა ტკბილი სუფრა ელოდა შორი სოფლებიდან გაჭირვებით ჩამოსულ ლტოლვილებს, ქალბატონმა ლეილამ და სასამართლოს კოლექტივმა მოკრძალებით მიიპატიჟა ისინი. ძალიან მინდოდა ჩემი გულის სითბო რითაც შემეძლო იმით გამენაწილებია მათთვის, ამბობს ქალბატონი ლეილა. ტკბილი სიტყვა და მოფერება უფრო ედება მალამოსავით ადამიანის სულს.

* * *

ყველაზე მეტად პური სჭირდებათ ახლა ლტოლვილებს, დღეს რაიონში პურის ფქვილი არის და მინდა იმედი მქონდეს მათ პური მაინც არ მოაკლდებათ. დროა, ნამდვილად დროა საქმეზე გადავიდეთ.

მ. მ.

# თორემ ისედაც ცოტანი ვართ

საქართველოში სამამულო ომია... ბედისწერის სასწორის პინას ჯერჯერობით უსამართლობა ძლევს. იხოცებიან საუკეთესო ბიჭები, რომლებსაც მომავალი უნდა შეექმნათ თავისუფალი საქართველოსა, ჩვენი ჯიში და გენი გაემრავლებინათ. ომს სასტიკი კანონები აქვს, ტყვიაც ბრმა და ბასრია. არავინ, არც ერთი ქართველი ბიჭი არ გვემეტება ტყვიისათვის, არცა გვყავს გასამეტებელი... სამშობლოს კი დაცვა უნდა. დამცველს სამხედრო საქმის ცოდნა, გაწაფული ხელი და გამოცდილება სჭირდება. პირტიტველა თვრამეტი წლის ბიჭებმა, ახლა რომ ადგნენ სკოლის მერხიდან, იარაღი მხოლოდ სამხედრო საქმის გაკვეთილზე და უცხოურ კინოფილმებში რომ უნახავთ, ან იარაღიან „მაგარ ბიჭს" რომ ხელში რამდენიმე წუთით დაუჭერინებია, და ჰგონიათ, უკვე იარაღის ხმარების წესში კარგად ვერკვევითო, სინამდვილეში ბევრი რამ არ იციან.. ომში მთავარი [illegible] მარტო იარაღის [illegible] წინასწარ [illegible] რული [illegible] პერიოდშიც ვერაფრის მაქნისია, რადგან გამოცდილება და სიმტკიცე აკლია.. სასტიკი შედეგი კი სახეზეა, ომში დაღუპულთაგან დიდი ნაწილი სწორედ 18—20 წლამდე ასაკის ბიჭებია, საქართველოსათვის გულანთებულები, მაგრამ გამოუცდელები, ჯერაც ჩვენში რომ იტყვიან, დაუმდგარნი.. სამშობლოს დაცვა ყველას ვალია, ყველასი განურჩევლად და ამის მიხედვით, ვის რა შეუძლია გააკეთოს საამისოდ. ვერავინ ვერავის ვერ დაავალდებულებს ან დააყვედრის ამას, მაგრამ 18—20 წლის ბიჭების ფარად ამოფარებას არ გვაპატიებს მომავალი, რომელიც უკვე გვპირდება, რომ თუ ასე გაგრძელდა, მალე საქართველოში მთამომავლობა არ გაგრძელდება. წინ გამოცდილი ხელი და გონება, შემდეგ კი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, დაუფიქრებლად გამბედავი ძალა სჯობია, თორემ ისედაც ცოტანი ვართ...

მადონა მახარობლიძე.

გლეხკაცი

◆

პარკას უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატია, ვაზს, ბოსტანს, ყანას ნათესს უვლის. შრომისმოყვარენი არიან მათი

# გამართლებული შრომა

შემოდგომაა. ჩქარობენ სოფლის მშრომელები, რათა დროზე მოიმკონ, დანაკარგის გარეშე დააბინაონ მოსავალი.

მოწინავე მეურნეთა შორისაა ქვედა ცაგერელი გურგენ დადიანი, რომელსაც სერიოზულად აღელვებს ჩვენი დღევანდელობა და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ქართველთა ბედნიერი მომავლის საქმეში.

დედამისი, წინა 85 წელს გადაცილებული ქალი, რომელმაც შრომის სიყვარული ჩაუნერგა შვილებსა და შვილიშვილებს, დღესაც შრომობს. უვლის შვილთაშვილს, პატარა ნინოს, საოჯახო საქმეებსაც აკეთებს, ხოლო რძალი, ლეილა აბრეშუმის შვილები ნუგზარი და ცეზარი, მესამე ვაჟი მალხაზი უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს.

დასაბამიდან შრომით შექმნილი, სიკეთითა და პატიოსნებით აღსავსეა მათი ოჯახი. ოჯახურ მეურნეობაში ჰყავთ ულალ ხარები, ძროხები, ღორები, ფრინველი. ამ ზაფხულს პირუტყვი მთის საძოვარზე ჰყავდათ, ხან მამა უვლის, ხან შვილები, თავაც საკმაოდ დაამზადეს. მთაში (ე.წ. „ლაუროცხას") მეზობლებთან ერთად ბოსტანს უვლიდნენ, პირველი მოსავალი, ხახვი, უკვე აიღეს, ამ დღეებში აბინავებენ კარტოფილს, ჭარხალს, კომბოსტოს და სხვა ბოსტნეულს.

0,5 ჰექტარ საკარმიდამო ფართობს ფლობს ოჯახი. შრომამ გაუმართლა გურგენსა და მის შვილებს, შემოდგომის ზეიმია მათ კარ-მიდამოში და სასიმინდე ფართობებში. არაფერი სჯობს მის მტევნებდახუნძლულ ვენახში გავლას, უკვე კრეფენ ვაშლსა და მსხალს, სიმინდის უხვი მოსავალი მიიღეს, ჩალა საგულდაგულოდ დააბინავეს.

მალე გურგენის უფროსი შვილი ნუგზარი ახალმოსახლეობას იზეიმებს, ერთიანი შრომით ააშენეს ორსართულიანი სახლი, რომლის კეთილმოწყობის სამუშაოებს მალე დაამთავრებენ.

სწორედ ამას ჰქვია გამართლებული შრომა.

ლ. ლარცულიანი,
სოფელი ქვედა ცაგერი.

# ძვირფასო მკითხველო!

დღეს ჩვენს ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობაა, ომია, იღუპებიან ადამიანები, ახალგაზრდები, შინაური თუ გარეშე მტერი ერთბაშად უტევს საქართველოს. ამ სიტუაციაში გვიმძიმს და მკრეხელობადაც მიგვაჩნია გაზეთის გამოწერაზე საუბარი, მაგრამ არც ის ივარგებს, უყურადღებოდ დაგტოვოთ. გაზეთი ნებისმიერ დროს, და მით უფრო დღევანდელ სიტუაციაში, ისიც რაიონული, მშობლიური, თქვენი ინფორმატორია, თქვენი ჭირისა და ლხინის თანაზიარი, ამდენად ჩვენის აზრით, ჰაერივით საჭიროა თითოეული ჩვენთაგანისათვის.

გაზეთების გამოწერა დაიწყო. ალბათ ბევრს გაგიჩნდათ სურვილი გამოიწეროთ „ლეჩხუმი". გამოწერა შეგიძლიათ 1 წლით, 6 თვით. წლით ჩვენი გაზეთის ფასი 57 მანეთია. გვესმის რა უმრავლესობის დღევანდელი საოჯახო ბიუჯეტის სიგრძე—სიგანე, ესაა ძალზე შეღავათიანი ფასი იმ ხარჯებთან შედარებით, რაც ქაღალდს, პოლიგრაფიულ მომსახურებას თუ სხვა აუცილებელს მიაქვს.

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო, ხელმოწერა რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე" დაიწყო. მისი გამოწერა მიმდინარეობს ჩვენთან, რაიონული გაზეთის რედაქციაში ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში.

თქვენი თანადგომის იმედი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გვაქვს.

გამოიწერეთ გაზეთი „ლეჩხუმი", ლეჩხუმელებო!

## ჩვენი მეზობლები

# ჩრდილოეთ კავკასია

როსტოვის ოლქი, კრასნოდარის მხარე (შედის ადიღეს ავტონომიური ოლქი), სტავროპოლის მხარე (შედის ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი), დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკები.

**დაღესტანი** — ფართობი 50,3 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 1588 ათასი (1977 წ.) მთავარი ქალაქი მახაჩყალა. დაარსდა 1844 წელს, როგორც ციხე-სიმაგრე, ჯერ ერქვა ბურნაია, შემდეგ პეტროვსკი. სახელი ეწოდა დაღესტნის ეროვნული გმირის მახაჩ დადაშევის პატივსაცემად (ყალა-არაბულად ციხე, სიმაგრე, ე. ი. მახაჩის ქალაქი). VIII საუკუნეში დაიპყრეს არაბებმა და გავრცელდა ისლამი. 1813 წელს შეუერთდა რუსეთს. 1921 წელს შეიქმნა დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა. დაღესტნური ენები შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში.

**ყაბარდო-ბალყარეთი** — ფართობი 12,5 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა 715 ათასი (1985წ), მთავარი ქალაქი ნალჩიკი, დაარსდა 1817-18 წწ.

ყაბარდოელების ადგილობრივი სახელწოდებაა ადიღე. ადიღეების ნაწილმა XIII-XIV სს. ყაბარდოელთა სახელწოდება მიიღო. ბალყარელი ხალხი ჩამოყალიბდა ჩრ. კავკასიისა და ალანების ტომების ბულგარებთან და ყივჩაღებთან აღრევის შედეგად. ბალყართა ენა განეკუთვნება თურქული ენების ოჯახის ყივჩაღურ ჯგუფს. ყაბარდოულ-ჩერქეზული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ახალდამწერლობიანი ენაა. მე-18 საუკუნიდან მუსლიმანები არიან. 1827 წელს ბალყარეთი შეუერთდა რუსეთს. 1921 წელს შეიქმნა ყაბარდოს აო (1922 წლიდან — ყაბარდო-ბალყარეთის აო), 1936 წელს გარდაიქმნა ყაბარდოს ავტონომიურ რესპუბლიკად.

**ჩრდილოეთ ოსეთი** — ფართობი 8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა 612 ათასი (ოსები — 300 ათასი). მთავარი ქალაქი — ვლადიკავკაზი, ადრე ორჯონიკიძე. ძველი წელთაღრიცხვით VII საუკუნეში ტერიტორიაზე შემოიჭრნენ სკვითები, IV საუკუნიდან სარმატები, შემდგომ ალანები. ამავე საუკუნის ბოლოს ჰუნების შემოსევის გამო ალანთა ნაწილი დასავლეთ ევროპაში წავიდა, ნაწილი გადასახლდა მდინარე ყუბანსა და თერგს შორის, გაიხიზნენ მთებშიც. IX-XII სს. ჩამოყალიბდა სახელმწიფო ალანია. XIX ს. დასაწყისში დასრულდა ოსების ეროვნებად ჩამოყალიბება. X ს. ოფიციალურ რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა. 1774 წელს შეუერთდა რუსეთს, 1924 წ. შეიქმნა როგორც ავტონომიური ოლქი. 1936 წელს გარდაიქმნა ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკად.

**ჩაჩნეთ-ინგუშეთი** — ფართობი 19,3 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა 1213 ათასი (აქედან ჩაჩნები — 611 ათასი, ინგუშები 135 ათასი, 1979 წ.). მთავარი ქალაქი გროზნო, დააარსა გენერალმა ერმოლოვმა 1818 წელს, როგორც ციხე-სიმაგრე. XI საუკუნის შემდეგ საქართველოდან ქრისტიანობა ვრცელდებოდა, XVI საუკუნიდან კი ფეხი მოიკიდა დაღესტნიდან შემოსულმა მუსლიმანობამ, რომელიც XIX ს. პირველ ნახევარში გაბატონებული რელიგია გახდა. XVIII საუკუნიდან ნოხჩაუს ტომის სახელწოდებით დამკვიდრდა ჩაჩნები (აულ ჩეჩნიდან), ხოლო XIX ს. მეორე ნახევრიდან ლალღაის ტომის სახელწოდებით — ინგუშები (აულ ანგუშიდან, ინგუშიდან). ჩაჩნური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფს. 1810 წელს ინგუშებმა მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა. 1934 წელს შეიქმნა ჩაჩნეთ-ინგუშეთის აო, რომელიც 1936 წელს გარდაიქმნა როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

**ადიღეს ავტონომიური ოლქი** — ფართობი 7,6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა 397 ათასი (1977 წ), ადმინისტრაციული ცენტრია მაიკოპი. ადიღეს წინაპარი ტომები იყვნენ სინდები, კერკეტები, ტიორეტები, ზიხები (ქართული წყაროებით — ჯიქები) ადიღეური ტომები XIII საუკუნეში ადიღეელ ხალხად ჩამოყალიბდნენ. XIII-XIV [illegible] გამოეყვნენ ყაბარდოელები, ადიღეელთა ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა. 1558 წლიდან რუსეთის მფარველობაში ითვლება. 1922 წელს შეიქმნა ჩერქეზეთის (ადიღეს) აო, რომელიც 1928 წელს ადიღეს ა-ო-დ გადაკეთდა. ადიღე ამჟამად ადიღეელების, ჩერქეზებისა და ყაბარდოელების საერთო სახელწოდებაა.

**ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი** — ფართობი 14,1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 390 ათასი (1985 წ.), IX-X სს. ყარაჩაის ტერიტორია ალანთა სახელმწიფოში შედიოდა. XII-XIV სს. ჩამოყალიბდა ყარაჩაის ხალხი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეუერთდა რუსეთს. 1922 წელს შეიქმნა ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი (1928 წლიდან ჩერქეზეთის აო). 1943 წელს ყარაჩაის აო გაუქმდა. 1957 წელს შეიქმნა გაერთიანებული ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო. ადმინისტრაციული ცენტრი ჩერკესკი. ყარაჩაულ-ბალყარული ენა განეკუთვნება თურქულ ენათა ყივჩაღურ ჯგუფს. გავრცელებულია ყარაჩაი-ჩერქეზეთის ოლქში და ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

# დრო, მკითხველი, ბიბლიოთეკა

რაიონის მოსახლეობას ემსახურება 48 საბიბლიოთეკო დაწესებულება. ქსელის მუშაკთა უმრავლესობა საშუალო სპეციალური განათლებითაა. იგრძნობა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების ნაკლებობა. მნიშვნელოვანი ნაწილი პენსიონერია მაშინ, როცა დაუსაქმებელი გვყავს ტექნიკუმდამთავრებული სპეციალისტები.

ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო ქსლის დირექცია კულტურის განყოფილებასთან ერთად ცდილობს სამუშაოზე მიიღოს ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც უფრო კარგად მოაწყობენ საბიბლიოთეკო მუშაობას.

მკითხველთა უკეთ მომსახურებისათვის ბიბლიოთეკებში გამოყენებული გვაქვს მუშაობის ისეთი ფორმები და მეთოდები, როგორიცაა სტაციონარული და მოძრავი გაცემის პუნქტი, აგრეთვე ბიბლიოთეკათშორისი აბონენტი, რომელიც რესპუბლიკის ყველა ბიბლიოთეკასთან არის გახსნილი. მკითხველთა სამსახურშია საოჯახო ბიბლიოთეკებიც.

ბიბლიოთეკები აქტივის დახმარებით ცდილობენ შეეხმიანონ მნიშვნელოვან თარიღებს. წელს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედმა კულტურის დაწესებულებებმა კულტურის განყოფილებასთან ერთად მოაწყვეს გალაქტიონ ტაბიძის, ვაჟა-ფშაველას, ლადო ასათიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საიუბილეო ლიტერატურული საღამოები. ანალოგიური ღონისძიებები ზოგიერთმა ბიბლიოთეკა-ფილიალმაც ჩაატარა.

საბიბლიოთეკო მუშაობა დამაკმაყოფილებლად აქვთ მოწყობილი ორხვის, ლაილაშის, ორბელის, წიფერჩის, ბარდნალის ბიბლიოთეკა-ფილიალებს. მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა საროთონო საბავშვო და საქალაქო საბავშვო ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა-ფილიალები.

სოფლის ბიბლიოთეკა-ფილიალების მეთოდური დახმარების მიზნით დავნერგეთ გასვლითი სემინარების ჩატარება მოწინავე ბიბლიოთეკა-ფილიალში. ასეთი სემინარები, რომლებსაც ყველა ბიბლიოთეკარი ესწრებოდა, ჩავატარეთ ლაილაშისა და ორხვის ბიბლიოთეკა-ფილიალებში. ორხვში ჩატარებულ ამ ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი. მან ორხვის ბიბლიოთეკა-ფილიალის საქმიანობა მოიწონა და განაზოგადა რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე. ასეთი სემინარის ჩატარება დაგეგმილი გვაქვს წიფერჩის სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალში.

გასულ წლებში ბიბლიოთეკები უზრუნველყოფილი იყვნენ ყველა პერიოდული გამოცემით, შეუფერხებლად ვიღებდით წიგნებსაც, მაგრამ უკანასკნელ წლებში რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა, ძალზე მცირე რაოდენობით და დაგვიანებით ვიღებთ ქართულენოვან გაზეთებს, მოკლებული ვართ ზემდგომი ორგანოებიდან მეთოდურ დახმარებას. რესპუბლიკაში არსებული დესტაბილიზაციის გამო, ბუნებრივია საბიბლიოთეკო მუშაობას ეშლება ხელი.

მოწინავე ბიბლიოთეკა-ფილიალების მუშაკებთან ერთად გვყავს ისეთი ბიბლიოთეკარები, რომლებიც არ ცდილობენ მუშაობაში სიახლეების დამკვიდრებას, ატარებენ არაფრის მომცემ ღონისძიებებს. არის იმის ფაქტებიც, რომ უმიზეზოდ აკეტებენ სამუშაოს და ბიბლიოთეკა ზოგჯერ გამოკეტილია. ასეთი ფაქტები ზამთრის პერიოდში მეტია, რადგან საწვავის უქონლობა არ იძლევა მუშაობის ნორმალურ პირობებს. ზოგიერთი სოფლის საკრებულო ნაცვლად დახმარებისა და მომთხოვნელობისა, მოითხოვს მუშაკთა შემცირებას იმ მოტივით, რომ არ მუშაობენო. უმჯობესია სოფლის ხელმძღვანელებმა იზრუნონ ბიბლიოთეკის კეთილმოწყობისათვის და იქ მომუშავეებს აუმაღლონ პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის შესრულებისათვის.

კარგად ვიცით რა ნაკლოვანებანი გვაქვს მოსახლეობის მომსახურების საქმეში, ყველაფერს გავაკეთებთ მათი აღმოფხვრისათვის. იმედი გვაქვს სოფლის ხელმძღვანელები მიიღებენ ზომებს ზამთრისათვის ბიბლიოთეკების სათბობით უზრუნველსაყოფად.

**ც. სადილიანი,**
**ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი.**

## „კათარზისი“

გისმობთ

კეთილი საქმისათვის

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენის, საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის

## განცხადება

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“ სათნოების ორდენი საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ცაგერის ორგანიზაცია იწყებს აფხაზეთიდან ლტოლვილთათვის მატერიალური და ფულადი დახმარების ორგანიზებას.

რაიონის მოსახლეობას ვთხოვთ შემოიტანონ ჩვენი ორგანიზაციის სახელზე ზამთრისათვის აუცილებელი ტანსაცმელი, ფულადი შემოწირულობანი განსაცდელში მყოფი ლტოლვილების ოჯახებისათვის ადგილზე გასაცემად განათლების განყოფილებაში. აგრეთვე ვთხოვთ, პურკომბინატის ხელმძღვანელობას შეძლებისდაგვარად გამოყოს და ჩვენს ორგანიზაციას მოაწოდოს რამდენიმე ტომარა პურის ფქვილი ლტოლვილთათვის გადასაცემად, რასაც გავანაწილებთ თანაბრად და დავურიგებთ იმ ოჯახებს, სადაც ლტოლვილები აფარებენ თავს.

ჩვენი მისამართია:
ცაგერის განათლების განყოფილება.


ისმინე, სწავლის მძებნელო!

## თბილისის გამოყენებითი ეკოლოგიის სასწავლო ინსტიტუტი

**აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების (ქართული და რუსული სექტორები) შემდეგ სპეციალობებზე:**

**აგროეკოლოგიის ფაკულტეტზე:**
აგროეკოლოგი;
მეტყევე ეკოლოგი.

**სამრეწველო ეკოლოგიის ფაკულტეტზე:**
საკონსერვო მრეწველობის ტექნოლოგი;
ალკოჰოლიანი სასმელების ტექნოლოგი;
უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგი;
ზოოინჟინერ-ეკოლოგი.

ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების საფუძველზე. გასაუბრება ჩატარდება ბიოლოგიაში, ქართულ ენასა და ქიმიაში.

სწავლა ფასიანია, ხანგრძლივობა — 5 წელი. წარჩინებული სტუდენტებისათვის გათვალისწინებულია სტაჟირება კანადასა და ავსტრიაში.

საბუთები მიიღება 1992 წლის 2 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე.

სწავლა დაიწყება 1993 წლის 5 იანვარს.

**მისამართი:** ქ. თბილისი, ზაჰესის დასახლება, საქართველოს სასოფლო სამეურნეო რადიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა.

**ტრანსპორტი:** ავტობუსი №70, მეტრო „დიდუბის“ ქვედა სადგურიდან გაჩერება „მეფუტკრეობა“.

ავტობუსი № 9 და სამარშრუტო ტაქსი № 12 „გურამიშვილის გამზირიდან“.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 62-46-45, 62-36-57, 62-46-08.

## მილოცვა

**საყვარელო ქეთინო!**

გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ლამაზ სიცოცხლეს!

**ლალი ასათიანი.**

---

**ქეთინო სოსოს ასულ ჭაბუკიანს**

გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, კარგ სწავლას, სიხარულს და სიკეთეს.

**გულო ჩითლია.**

---

**ნორა ლარცულიანს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.

**მაყვალა ცხვედიანი, ლილი ყურაშვილი, თამილა ბენდელიანი, ირინა სვანიძე, ლეილა ბენიძე, თინა თუთისანი, ნანი ქომეთიანი, ნუნუ გელენიძე.**

---

**ეთერ კილასონიას, გელა უჩაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**შემნახველი ბანკის თანამშრომლები.**

---

**მარიტა ჩაკვეტაძეს, თამაზ ბენდელიანს**
**მაია ჩაკვეტაძეს, ზაურ ომანაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ.

**ზუბის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.**

---

**მარინე კოპალიანს, ნუგზარ გუგავას**

გილოცავთ ბედნიერებას.

**ცაგერის საგზაო სამმართველოს თანამშრომლები.**

---

მეუღლე ნადია, შვილები შოთა, ლალი, მზია, მარინა, მაყვალა მანანა, რძალი ლიანა კოპალიანი, სიძეები, შვილიშვილები, ძმისშვილები, ცოლისძმის შვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნიკო (იპოლიტე) გრამიტონის ძე გოლეთიანი**

დაკრძალვა 29 ოქტომბერს, ხუთშაბათს, სოფელ მახურაში.

---

ლაჯანის სკოლის XI კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მზია ბურჯალიანი თანაუგრძნობენ მზია ლიპარტელიანს ბაბუის

**ბიქტორ ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ტუღუ ხაბულიანი, ნელი ჩაკვეტაძე, ლერი ომაძე, მიშა ფოჩხიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ვალოდია ჩაკვეტაძის ოჯახს მეუღლის

**ლუბა სვანიძე-ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

საშა, ნუგზარ კოპალიანები, ქორია ხვიჩურიანი, მურად ჩარკვიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯანიკო უჩაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შურა ნემსწვერიძე, ლია გოლეთიანი, დალი მურცხვალაძე, ნატო ჭაბუკიანი, მანანა კოპალიანი, ნატო სილაგაძე, მალვინა მინდაძე, დალი უგრეხელიძე, ხათუნა კაბონაძე, გულო სვანიძე თანაუგრძნობენ მთვარისა და ზურაბ სილაგაძეებს შვილის

**ზაალ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ იურა, როლანდ, ჰვანე სილაგაძეებს

**კლიმენტი და ზაალ სილაგაძეების**

გარდაცვალების გამო.

---

რაიგანრეშუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ოჯახებს

**კლიმენტ და ზაალ სილაგაძეების**

გარდაცვალების გამო.

---

აქსენტი მინდაძე, რუბენ, ბადრი კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან

**გელა ვარლამის ძე დევდარიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის საშუალო სკოლის VI ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი ციცო კოპალიანი თანაუგრძნობს ნინო საღინაძეს ბაბუის

**აკაკი შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზინა, ნანული, ლია სილაგაძეებს ძმისა და ძმისშვილის

**კლიმენტისა და ზაალის**

გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს გულო საღინაძეს და ქუქუნა სილაგაძეებს ძმისა და ძმისშვილის

**ბორის საღინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

დათო, თამაზ ფუტკარაძეები, ვაჟა გუგავა ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**კლიმენტ და ზაალ სილაგაძეების**

გარდაცვალების გამო.

---

გელა ხაბულიანი, კოკო ნემსწვერიძე, როლანდ ავალიანი, ალბერტ, სოზარ ბენდელიანები, დაზმირ კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ შოთა კოპალიანის და ზურაბ სილაგაძის ოჯახებს შვილიშვილის და შვილის

**ზაალის**

გარდაცვალების გამო.

---

## ხსოვნა

### დაშა პავლეს ასული მამარდაშვილი

უკვე ორი წელი შესრულდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ იმყოფები, ძვირფასო დაშა. რა ულმობლო, მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი, ვინ იფიქრებდა შენს სამსახურში, რომ შემოდგომაზე ძმისა და ოჯახის დასახმარებლად შვებულებაში წასული უკან ვეღარ დაბრუნდებოდი. რა მწარე იყო ის შემოდგომა ყველა შენი თანამშრომლისათვის, ყველა ახლობელისათვის. დრო მკურნალია ამბობენ, მაგრამ დრო ვერ კურნავს და ვერ ავსებს შენგან დატოვებულ სიცარიელეს. ყოველ დილით სამსახურში მისულებს კედლიდან შემოგვცქერის შენი სითბოთი გავსებული, კეთილი თვალები, თითქოს გვესალმები, გვიღიმი და გვამხნევებ ამ ძნელბედობის ჟამს. მაინც რა ნაღდი და კეთილი ქალი იყავი, რამდენ სითბოს, სიყვარულს და ერთგულებას თესავდი შენს ირგვლივ. შენი დედ-მამიშვილები და მათი შვილები იყო შენი სათაყვანებელი და სალოცავი, აკი მათ სიყვარულში ჩაიფერფლე კიდეც.

ბანკი თქვენი მეორე ოჯახი იყო, თქვენ ხომ აქ გაატარეთ ახალგაზრდობისა და ცხოვრების ყველაზე [illegible] 36 წელი. ემსახურეთ რაიონის ფულის მიმოქცევის [illegible] საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოებას. მრავალი ახალგაზრდა ჩამოყალიბდა თქვენს გვერდით, როგორც საუკეთესო სპეციალისტი, ამიტომაცაა, რომ უჭირს უთქვენობა მეგობრებსა და ახლობლებს.

გვაპატიეთ ძვირფასო დაშა, თუ სათქმელი ისე ვერ გითხარით თქვენს ლამაზ სულს რომ ეკადრება. გწამდეთ თქვენი სახელი არასოდეს იქნება დავიწყებული ჩვენგან.

**აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები.**

---

### კადრიბ საბას ძე ბენიძე

ათი წელი გვაშორებს შენს ღიმილიან სახეს. ტანჯვისა და მოგონებების, ცრემლისა და გულში დაგუბებული მძიმე ტკივილის ათი წელი.

ადრიანად სკოლისაკენ მიიჩქაროდი, გაკვეთილების დაწყებამდე წესრიგში უნდა მოგეყვანა სასწავლო პროცესი. გზაში დაგხვდა ულმობელი სიკვდილი, ერთად დარჩა სკოლის და შენი გულის უკანასკნელმა ზარმა. დააობლე შვილები, დაანგრიე სიმწრით ნაშენები ოჯახი, იმან წაიღე შვილების დარდი და დატოვე მწარე მოგონებები.

ათი წელია მწარე სევდას ვატარებთ გულში. გეძებთ ყველგან, სკოლაში, სახლში, ამხანაგებთან, შენს გაზრდილ მოსწავლეებთან, ალბომში, გზაში თუ ეზოში. აღარსად ჩანხარ, აღარ ისმის შენი ხალისიანი ხმაური, შეძახილები. მხოლოდ ღიმილიანი სურათებით გადმოგვყურებ კედლიდან, თითქოს გვაიმედებ, დარდს გვიმსუბუქებ, მაგრამ წუთით. ისევ დარდი, მწარე ფიქრი, უსასრულო სევდა—ნაღველი, ჭირთა თმენა... შენთან გამოსათხოვარ წერილებში ვკითხულობთ: „სკოლისკენ მუდამ ჩქარი ნაბიჯით მიმავალო კაცო, საქმის და ხალხის უერთგულესო მსახურო მასწავლებელო, დიდისა და პატარისათვის ერთნაირად საყვარელო, უწყინარო, ფიქრიანო, მუდამ ღიმილიანო, კაცურ კაცობის ეტალონად ქცეულო ადამიანო".

ვამაყობთ, რომ ასეთი იყავი და ასეთი დარჩი სიკვდილის შემდეგ. არ დაიკარგოს შენი სიყვარული ხალხის გულში. ჩვენ კი ზრუნვას არ მოვაკლებთ შენს საფლავს, წმინდად შევინახავთ შენს სახელს, ხსოვნას.

ღმერთმა გაანათლოს შენი სული ძვირფასო მამა!

**ცაცა, მაია, ნანი, მალხაზ კახაბერ ბენიძეები.**

---

### ნუგზარ ნოდარის ძე ახვლედიანი

ისევ მოვიდა ოქროსფერი შემოდგომა ნუგზარ, მერამდენე წელია უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. რამდენი ტკივილი, დარდი და ნაღველი ახლავს შენს გახსენებას. 26 წლის პირტიტველა ჭაბუკი წახვედი ამ ქვეყნიდან. ერთი შვილი მაინც დარჩენოდათ შენს გულდამწვარ მშობლებს, საყვარელ ბებიას საფერებლად, რომელიც ნუგეში იქნებოდა მათთვის, მერედა როგორ გიყვარდა პატარები... სიცოცხლეს უმღეროდი ნუგზარ, შენს მეგობრებს კარგად ახსოვთ შენი სპოცარი ხმა, მთელი დარბაზი, რომ გაირინდებოდა ხოლმე შენი სცენაზე გამოჩენისას. ეჰ, როგორ ადრიანად დაადუმა ულმობელმა სიკვდილმა. დიდმა მწუხარებამ ცრემლებიც დააშრო.

როგორ შეიცვალა ყველაფერი, რომ იცოდე ნუგზარ, შენი დროის საქართველო სანატრელი გახდა სიმშვიდით. ომია ნუგზარ! შენ რომ ცოცხალი იყო, იმათ გვერდით იქნებოდი, ვინც პირისპირ დგას ტყვიასთან.

ეჰ, რა ვქნათ ძალიან უჭირს უშენოდ ოჯახს, სადაც შენს ძმისშვილს შენი სახელი დაარქვეს. არ გივიწყებენ ახლობელ-მეგობრები და ყოველი შენი დაბადების დღეს საფლავზე მოდიან სევდიანი, ცრემლიანი თვალებით. გჯეროდეს შენი ნათელი ხსოვნა მუდამ იქნება ყველა ახლობლის გულში. მსუბუქი იყოს შენთვის შენი სოფლის მიწა.

**ციცო გუჯავა.**

---

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ჯულიეტა ლიპარტელიანს მამის

**გრიშა თომას ძე ლიპარტელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

კოოპერატივ „სიახლის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზურაბ და ვანო სილაგაძეებს

**ზაალის და კლიმენტის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯემალ, ნესტორ მუშკუდიანები, რეზო ხვიჩურიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**ბორის საღინაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი ჯულიეტა, სიძე ლაითა, შვილიშვილები ემზარი, მალხაზი, ელზა ჩანქსელიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიშა თომას ძე ლიპარტელიანი**

---

ნოდარი კვირკაშვილი, ტარიელ ჭიჭინაძე ოჯახებით იუწყებიან მამიდაშვილისა და ბიძის

**ჯანიკო მიხეილის ძე უჩაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

კავშირგაბმულობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დუდუშა ახვლედიანს დედის

**ანეტა გუგავას**

გარდაცვალების გამო.

---

ალიოშა ბრეგვაძე, შოთა მურცხვალაძე, ამირან მოწონელიძე, ირაკლი მდივანი, ქეთევან ძოწუაშვილი ოჯახებით იუწყებიან

**გელა ვარლამის ძე დევდარიანის**

გარდაცვალებას.

---

მარიამ გამსახურდია ოჯახით იუწყება

**ტუხუ ვარლამის ძე დევდარიანის**

გარდაცვალებას.

---

ჯაბუ, რეზო ტვილდიანები, ვაჟა კვენეტაძე, ბადრი შუკუბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნიკო გოლეთიანი.**

---

„ლეჩხუმი" გამოდის ხუთშაბათს
ტირაჟი 2900 შეკვეთა №19

ჩვენი მისამართია: 384190 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, სტამბის დირექტორის — 22-17, საამწყობო საამქროს — 22-23

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

ცაგერის რაიონული სტამბა.